აპლიკაციის წესები და პირობები

თქვენ ეცნობით სადაზღვევო კომპნია ევროინს ჯორჯიას აპლიკაციის „ Euroins„ წესებს და პირობებს

წინამდებარე ტექტში გამოყენებული „სადაზღვევო კომპანია", „კომპანია" გულისხმობს სს „ ევროინს ჯორჯას" **204491344, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, 0162, ი. მოსაშვილის ქ. #24 (+995 32) 2 20 88 88/(+995 32) 2 20 33 33, ელექტრონული მისამართი: euroins@euroins.ge** ხოლო ტერმინი, „დაზღვეული", „მომხმარებელი" გულისხმობს ადამიანს, კომპანიას, რომელიც იყენებს წინამდებარე აპლიკაციას.

წინამდებარე დოკუმენტი არ საჭიროებს ცალკეულ ხელმოწერას და ძალაში შედის მომხმარებლის თანხმობის მომენტიდან.

ეს აპლიკაცია წარმოადგენს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯიას საკუთრებას, მისი გამოყენების წესი და ინსტრუქცია შემუშავებულია და სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯიას მიერ.

წესებითა და პირობებით გვსურს მომხმარებლებს მოგაწოდოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია აპლიკაციის გამოყენების შესახებ.

აპლიკაციაში მითითებული კონკრეტული პროდუქტი/მომსახურება რეგულირდება სპეციალური სადაზღვევო პროგრამით/ხელშეკრულებით. აპლიკაციის გამოყენების წესები და პირობები წარმოადგენს იურდიული ძალის მქონე ხელშეკრულებას სადაზღვევო კომპანიას და დაზღვეულს შორის.

საკონტაქტო ინფორმაცია

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წიანმდებარე წესებსა და პირობებს. თუ მათ არ ეთანხმებით ან/და გაქვთ რჩევა/შენიშვნა გთხოვთ, ამის თაობაზე შეგვატყობინოთ ელფოსტაზე: .....

აპლიკაციის გამოყენების ინსტრუქცია

აპლიკაციის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ სადაზღვევო პროდუქტებს საინფორმაციო ბარათების მეშვეობით; შეიძინოთ ევროინს ჯორჯიას მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პროდუქტი, სამოგზაურო დაზღვევა.

ევროინს ჯორჯიას აპლიკაციის გამოყენებისას დაუშვებელია უკანონო/თაღლითური ქმედება, დისკრიმინაციული, ცილისმწამებლური, სიძულვილის ენით საუბარი ან სხვა იმგვარი ინფორმაციის განთავსება, გავრცელება/ტრანსმისია, რაც შესაძლოა არღვევდეს კანონმდებლობას ან/და ზიანს აყენებდეს კომპანიის საქმიან რეპუტაციას.

აპლიკაციაზე წვდომის მისაღებად გამოყენებული ნებისმიერი სისტემის (სატელეფონო, კომპიუტერული და სხვა) გაუმართაობა წარმოადგენს მომხმარებლის რისკს.

ასევე დაუშვებელია აპლიკაციის ტექნიკური, პროგრამული ზიანის მიყენება.

თუ ვებ-გვერდზე წვდომა შეუძლებელი გახდა ტექნიკური შეფერხების ან/და სადაზღვევო კომპანიისგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზით, კომპანია არ არის პასუხისმგებელი ამ ვითარებაზე ან/და აღნიშნულის შედეგად გამოწვეულ ზიანზე.

სადაზღვევო კომპანია არ აგებს პასუხს ვებ-გვერდის გამოყენებით გამოწვეულ რამე ზიანზე, დანაკარგზე, თუნდაც ტექნიკური შეფერხების, დეფექტის, კომპიუტერული ვირუსის ან სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში. სადაზღვევო კომპანია არ აგებს პასუხს იმ შემთხვევებზე, თუ აპლიკაციის შემადგენელი გარკვეული კომპონენტები თქვენთვის ხელმისაწვდომი არაა.

აპლიკაციაში მითითებული/შემოთავაზებული მომსახურებები რეგულირდება შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებით.

მომხმარებლის რეგისტრაცია

აპლიკაციაში რეგისტრაციისათვის შესაბამის ველში უნდა მიუთითოთ თქვენი:

• ელ. ფოსტა;

• პაროლი

„რეგისტრაცია“ ღილაკზე დაჭერის შემდეგ თქვენ ელ.ფოტაზე მოგივათ კოდი, რომლითაც დაადასტურებთ

ამის შემდეგ, თქვენ უნდა დაეთანხმოთ აპლიკაციის მოხმარების წესებსა და პირობებს და გასცეთ შესაბამისი თანხმობები.

შემდგომ თქვენ უნდა შექმნათ პაროლი აპლიკაციით სარგებლობისათვის. პაროლის ცვლილება შეგიძლიათ რეგისტრაციის დროს მითითებული ელ.ფოსტის საშუალებით.

რეგისტრაციის შემდეგ, მომხმარებელს აპლიკაციაში შესვლის შესაძლებლობა აქვს მეილით და პაროლით.

მომხმარებელი ვალდებულია:

– დაიცვას კონფიდენციალურობა და შეინახოს ანგარიშის დეტალები ისე რომ არ გაუზიაროს გარეშე პირებს;

– იმ შემთხვევაში თუ ანგარიშის დეტალები გახდა ცნობილი სხვა პირისთვის, ან/და თუ მომხმარებელს აქვს ეჭვი, რომ მისი მომხმარებელი და პაროლი ცნობილია სხვა პირებისთვის, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სადაზღვევო კომპანიას და აპლიკაციის მეშვეობით მოახდინოს პაროლის ცვლილება.

–მომხმარებელი ვალდებულია აპლიკაციით ისარგებლოს კეთილსინდისიერად;

– მომხმარებელი ვალდებულია გაუფრთხილდეს სადაზღვევო კომპანიის საქმიან რეპუტაციას და არ მოახდინოს მისი რაიმე ფორმით შელახვა.

– აუნაზღაუროს სადაზღვევო კომპანიას მისი ბრალეული ქმედებით/უმოქმდობით გამოწვეული ზიანი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ინტელექტუალური საკუთრება

აპლიკაციაში გამოქვეყნებული ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ მომხმარებლების პირადი გამოყენებისთვის. სადაზღვევო კომპანიის ევროინს ჯორჯიას წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია ამ ინფორმაციის, ასევე აპლიკაციის სტრუქტურის, დიზაინის და სასაქონლო ნიშნის გავრცელება, გადაცემა, ასლის დამზადება ან/და გამოყენება კომერციული მიზნებისთვის.

აპლიკაციაზე, მის სტრუქტურაზე, შინაარსზე და დიზაინზე სრულად ვრცელდება სადაზღვევო კომპანიის საავტორო უფლება.

აკრძალულია ამ აპლიკაციაში გამოქვეყნებული ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის გამოსახულების სასაქონლო ნიშნები, დიზაინი, მათ შორის და არამხოლოდ რეგისტრირებული ან/და არარეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების უნებართვო გამოყენება, დამუშავება და გამოქვეყნება სადაზღვევო კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა

ბმულების გამოყენების ინსტრუქცია

იმ შემთხვევაში თუ აპლიკაციაში მოცემულია ბმული, რომელიც გამოყენების შედეგად მომხმარებელი აღმოჩნდება სხვა ნებისმიერ აპლიკაციაში ან/და ვებგვერდზე, იმოქმედებს შესაბამისი აპლიკაციის/ვებგვერდის წესები და პირობები. ამასთან მომხმარებელისთვის ცნობილია და აცხადებს თანხმობას რომ სადაზღვევო კომპანია არ არის პასუხისმგებელი ბმულით მოცემულ აპლიკაციაში/ვებ გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსზე, მართებულობაზე ან მათი გამოყენების შედეგად მიღებული მომსახურების ხარისხა და შედეგებზე.

მარეგულირებელი კანონმდებლობა

წინამდებარე წესები და პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. ასეთის არსებობის შემთხვევაში დავა განიხილავს განსჯადი სასამართლო, წინამდებარე წესებისა და პირობების რომელიმე დათქმის ბათილობა არ იწვევს წესებისა და პირობების სხვა ჩანაწერის ბათილობას.

შეწყვეტის პირობები

სადაზღვევო კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად მოახდინოს მომხმარებელს აპლიკაციით სარგებლობის უფლების სეწყვეტა, რაც გულისხმობს რომ შეწყდება წინამდებარე წესებისა და პირობების შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულება.

წინამდებარე წესებზე და პირობებზე თანხმობით მომხმარებელი ადასტურებს რომ თუ სადაზღვევო კომპანია გააუქმებს თქვენს ანგარიშს აპლიკაციაში, თქვენ აღარ გექნებათ წვდომა თქვენს ანგარიშზე არსებულ ინფორმაციასთან. ყოველგვარი ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით, განვმარტავთ, რომ სადაზღვევო კომპნიის მიერ მომხმარებლისთვის აპლიკაციით სარგებლობის შეზღუდვა არ გულისხმობს მომხმარებელსა და სადაზღვევო კომპანიას შორის გაფორმებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სადაზღვეო ხელშეკრულების შეწყვეტას.

დასკვნითი დებულებები

კომპანიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე დოკუმენტი, რაც აისახება აპლიკაციაში განთავსებული წესების განახლებით. ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე.